საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა საქართველოში

2021

III კვარტალი

14.12.2021

www.geostat.ge

14.12.2021

ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკა

(III კვარტალი, 2021 წელი)

2021 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე 15 წლის და უფროსი ასაკის ადგილობრივი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობა 1 379.3 ათასით განისაზღვრა, რომელთა მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურმა რაოდენობამ 1 574.1 ათასი ერთეული შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორების რაოდენობა 20.1%-ით მეტია 2020 წლის მესამე კვარტალის შესაბამის მონაცემებზე.

დიაგრამა 1 ასახავს 2020-2021 წლების მესამე კვარტალებში ვიზიტორებისა და მათ მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობებს.

დიაგრამა №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორებისა და მათ მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა



2021 წლის მესამე კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ტურისტული ტიპის ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა 813.5 ათასით განისაზღვრა, რაც 22.6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. დიაგრამა 2 ასახავს საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



2021 წლის მესამე კვარტალში ვიზიტორების 38.2 პროცენტი მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ამასთან, ქალების რაოდენობა ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 55.4 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №3

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2021 წლის III კვარტალში



14.12.2021

დიაგრამა №4

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით 2021 წლის III კვარტალში



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ვიზიტორების 45.1 პროცენტი ქ. თბილისის მაცხოვრებელია, 12.2 პროცენტი მოდის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონზე, 11.2 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, ხოლო დანარჩენი რეგიონები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით არის წარმოდგენილი.

დიაგრამა 5 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით.

დიაგრამა №5

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით 2021 წლის III კვარტალში, %



2021 წლის მესამე კვარტალში ვიზიტების უმრავლესობა (41.0 პროცენტი) განხორციელდა მეგობრების/ნათესავების მონახულების მიზნით.

ცხრილი №1

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით 2021 წლის III კვარტალში, ათასი

ვიზიტის მიზანი	ვიზიტების რაოდენობა	%
მეგობრების/ნათესავების მონახულება	645.5	41.0
მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	288.8	18.3
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	222.0	14.1
შოპინგი	189.4	12.0
მკურნალობა, გაჯანსაღება	144.7	9.2
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	34.3	2.2
რელიგია/მომლოცველობა	13.3	0.8
განათლების მიღება	5.0	0.3
სხვა, მიუთითეთ	31.1	2.0
სულ	**1 574.1**	**100.0**

საანგარიშო პერიოდში ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ქ. თბილისში (საშუალოდ 306.6 ათასი ვიზიტი თვეში) და იმერეთის რეგიონში (საშუალოდ 280.3 ათასი ვიზიტი თვეში). დიაგრამა 6 ასახავს ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №6

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით 2021 წლის III კვარტალში



დიაგრამა 7 ასახავს 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

14.12.2021

დიაგრამა №7

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით 2021 წლის III კვარტალში



2021 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების მოცულობა განისაზღვრა 320.7 მილიონი ლარით. აღნიშნული მაჩვენებელი 46.3 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, ვიზიტზე გაწეული საშუალო ხარჯი გაზრდილია 22.0 პროცენტით და 203.8 ლარს უტოლდება.

14.12.2021

ცხრილი №2

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით 2021 წლის III კვარტალში

ხარჯის ტიპი	ხარჯი (მლნ. ლარი)	წილი, %	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საყიდლები	96.9	30.2	61.6
საკვები და სასმელი	93.5	29.2	59.4
ტრანსპორტი	59.3	18.5	37.7
განთავსების საშუალება	28.4	8.9	18.0
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	4.6	1.4	2.9
სხვა ხარჯი	38.0	11.9	24.2
სულ ხარჯი	**320.7**	**100.0**	**203.8**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (200), ელ. ფოსტა: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), ელ. ფოსტა: mkavelashvili@geostat.ge